საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში წარსადგენად

ტოპოგრაფიულ გეგმაზე დატანილი საპროექტო გეგმები

მასშტაბი 1:500




**განმარტებით ბარათი**

**საპროექტო შენობა მდებარეობს ტერიტორიაზე, რომელზეც განთავსებულია შპს "კავკასიის სამედიცინო ცენტრის" და შპს "მეგალაბის" საკუთრებაში არსებული შენობები. ცენტრალური შესავლელი მიწის ნაკვეთს გააჩნია სამხრეთიდან, პეტრე ქავთარაძის ქუჩის მხრიდან. აგრეთვე აღმოსავლეთით მოსაზღვრე თავხელიძის ქუჩის მხრიდან არის 2 შესასვლელი. ერთი საავადმყოფოს სასწრაფო მიმღების და მეორე დამხმარე შესასვლელი. დასავლეთ და ჩრდილოეთის მხრიდან ტერიტორიას ესაზღვრება კერძო ნაკვეთები. ტერიტორიას გააჩნია შიდა სატრანსპორტო გზები რომელთა სიგანე არანაკლებია 4,2 მ-ზე რაც უზრუნველყოფს სახანძრო მანქანის დაუბრკოლებელ მისადგომობას ტერიტორიაზე განთავსებულ შენობებთან და მათ შორის რა თქმა უნდა საპროექტო შენობასთან, რომლის პროექტირებაც იგეგმება არსებული # 01/9 -ზე მიშენების სახით, ჩრდილოეთის მხრიდან. ამასთან არსებული ტერიტორიაზე მთლიანად ასფალტ/ბეტონის საფარია და შეუზღუდავია მანქანით გადაადგილება. (იხილეთ გენგეგმა)**

*1. ვინაიდან საავადმყოფოს შენობას უნდა გააჩნდეს ყველა მხრიდან მისადგომი გზები, წარმოგიდგენთ გენ-გეგმას, მისასვლელი/გასასვლელი გზების და მისი პარამეტრების ჩვენებით. ამასთან ერთად გავითვალისწინეთ და გზის სიგანე შეადგენს 6 მეტრს, ხოლო შენობის კედლიდან გზების შიდა სავალ კიდემდე მინიმალური მანძილი 3.5 მეტრია. საპროექტო შენობის სახანძრო ტექნიკური სიმაღლე არ აღემატება 10 მეტრს.*

*2. გენ-გეგმაზე განვსაზღვრეთ ხანძარსაწინააღმდეგო წყალმომარაგებისათვის განკუთვნილი, სახანძრო ჰიდრანტის ადგილმდებარეობა. (აღნიშნული დატანილია გენგეგმაზე)*

*3. გენ-გეგმაზე დავიტანეთ დასაპროექტებელ შენობასა და მომიჯნავედ მდებარე შენობა-ნაგებობებს შორის ხანძარსაწინააღმდეგო მანძილები და ამ უკანასკნელის ფუნქციონალური დანიშნულება. (ყველა შენობა საავადმყოფო ან საავადმყოფოს დამხმარე ტექნიკური ნაგებობებია...)*

## პირობითი აღნიშვნები

- მიწის ნაკვეთის საზღვრები
- სიმაღლის ნიშნული
- ფოთლოვანი ხე
- წიწვოვანი ხე
- ჭის ლუქი
- ელ. ბოძი
- ბეტონის გზა
- ლითონის ღობე
- საკომუნიკაციო არხი
- ბეტონის კედელი 1მ.ზე მაღალი
- ბეტონის კედელი 1მ.ზე დაბალი
- ბორდიური

UTM სისტემის კოორდინატები

## ტოპოგეგმა მ: 1:500

| | | |
|---|---|---|
| მისამართი: | ქ. თბილისი, პეტრე ქავთარაძის ქუჩა N23 | |
| დამკვეთი: | შპს "კავკასიის მედიცინის ცენტრი" | |
| აზომა | | ალ. სოხაძე |
| დახაზა | | ალ. სოხაძე |
| მ: 1:500 | ფართობი: 23799 კვ.მ. | 22.10.2024 |